ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №61

2010 წლის 26 ნოემბერი

ქ. ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. შემოღებულ იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს:

ა) სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 15 000 ლარის ოდენობით;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 250 ლარის ოდენობით;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 30 000 ლარის ოდენობით;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1 000 ლარის ოდენობით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განსაზღვრის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 23 იანვრის №4 დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. ლომიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.12.2011 წ.